1916

# სახალხო ფურცელი

ყოველკვირეული დამატება
გაზეთის № 532
დამატების № 95
კვირა, 20 მარტი 1916 წ.



დიდება დამარცხებულთ!
ქანდაკება ა. მერსიესი.

## Thamar

ვინ მომაქვავა მე სამშობლო? მე თავს ვგრძნობ უფლად.
მე ყველასი ვარ, თუმც არვინ ჩწამს ჩემსა გარეშე!
რა გენაღვლებათ, ისე ვიყო მე თავისუფლად,
როგორც ნიავი ქალის თმებში ტლუდ მოთარეშე.

Thamar! მე გნახე ყვავილეთში—როს ირმის ჩლიქით
აიმღვრა წყარო და გაივსო გველის ბალღამით—
და შეგიყვარე სწორედ ამ დროს... და ამას იქით
შენ შეგალექსებ უკვდავ ლექსით დღისით თუ ღამით.

შოთა ეტრფოდა ცოცხალ თამარს, უმზერდა თვალით,
უქებდა თვალებს, გიშრის ყავრით გადაჩრდილულსა,
ხოლო აკაკი შოთას ლექსის შემონათვალით
ეტრფოდა თამარს—თამარს მკვდარსა—ჯერ არ ხილულსა!

ჩვენ კი სულ სხვა ვართ: და როგორც მე არ ვგევარ მგოსანს,
ისე—ლამაზო—არც შენა ხარ თამარ-ზენარი.
მაგრამ მე ვეტრფი თამარს ახალს, ახალ ჰანგოსანს,
მიყვარს ოცნება მგოსანივით მოუსვენარი.

და შენთან ერთად, დაე, მლანძღონ უთანამგრძნობლოს
რას წარმოადგენს ბრბო, მარაქა, ხალხი, მილეთი?!
ჩვენ არ ვეკუთვნით—ეს იცოდე—არც ერთ სამშობლოს,
ჩვენი სამშობლო ზღვის გულია, მზის ყვავილეთი.

ი. გრიშაშვილი.



მაჰმადიან ქართველების დეპუტაცია ტფილისში.

# ლაქია

შენს ნაჩუქარ სახსოვარსა—ვარდს ლალისფრად ჩამუქებულს,
ჩემი სულის ლოცვის საგანს, ჩემის ლექსით ხშირად ქებულს—
წიგნთ-საცავში ვინახავდი - დიდი შოთას რითმებ ქვეშა
რომ ის ხშირად გადმეშალა, მენახა და მენუგეშა!—
როცა მუზა მეწვეოდა—ვთავაზობდი გასართობათ
და ისიც ზედ რითმად სწნავდა შენს სახელს და ჩემთა გრძნობათ!—
ლოცვის წინად ავფურცლავდი—როგორც მწირი სახარებას
და ზედ კოცნით ალვბექდავდი ღიმილსა და მწუხარებას!..
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

და ვიხილე სიზმრად: ვითომც ჩვენს ლაქიას, უზრუნველად
შემოელო სახლის კარი—წიგნთ-საცავის მოსავლელად
და, როდესაც აეხადნა მას წიგნის ყდა უმეცარად,
ვარდი თურმე ძირს დაეცა ანაზდად და უეცარად
ლაქია კი, ასაღებად თურმე არც კი დაიწოდა!—
(ან რა რჯიდა, რად ეზრუნა, გული რისთვის დაეწოდა?!)
და ის ვარდი, სავსე ჩემის ტრფობით, გრძნობით, კაეშნითა,—
ტლანქის ფეხით მტვრად ექცია, ტლანქი, ფეხით დაეფშვნიტა!..

მეც მოველი ამ დროს ვითომც და, როს ვნახე ეს სეირი,
მთლად ტირილად გარდავიქეც—ამიზლვავდა გულში ჭირი
და, როდესაც ცრემლის ძეწკვით - თვალი ლოყას გადამება,
იმ რეგვენსა გაუკვირდა ჩემი მოთქმა და ვაება;
ბუტბუტებდა: „რა მოხდაო?.. რა აგლოვებს, რა ადარდებს?—
რა ფასი აქვს ყვავილებსო, მერე ისიც დამჭკნარ ვარდებს?!..“
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ჩემო კარგო, მთელს ცხოვრებას ლაქიები განაგებენ,
და სიცოცხლის წიგნთ-საცავებს თვის გემოზე ალაგებენ;—
და მე ვშიშობ, სიცხადეშიც არ დაგვსაჯონ ცრემლით ცხელით,
ჩვენის ტრფობის სახარებას არ შეეხონ ტლანქის ხელით!..

ნოემბერი 1915 წ. ს. ფაშალიშვილი.

# ლ ო თ ი

(სერბიული)

**ბ. სტანკოვიჩისა.**

სთუდდენიცის ქუჩიდან თონჩიდერის ვენახებამდე, სადაც სტეფანოვიჩიაანი იდგნენ, ტრამვაით მთელი ნახევარი საათი უნდა გევლო. პორუჩიკმა ჯორჯევიჩმა ძეწკვით მიბმული ვერცხლის საათი ამოიღო და დაჰხედა.

— ორის ნახევარია!—სთქვა მან თავისთვის,—რა მიმაჩქარებს ასე ადრე. სადილზე კიდევ მივუსწრებ!

მაგრამ მოთმენა არ შეეძლო. ძლივს შეიკავა თავი და კინაღამ დილითვე არ გაიქცა იქა. უეჭველია ასეც იზამდა, მაგრამ ყაზარმაში ძლიერ საჭირო საქმე ჰქონდა. საათი უკანვე ჩაიდო, გაასწორა ქაღალდი დიდ თაიგულზე, მეორე ხელში რომ ეჭირა და ნელ-ნელა ჩაჰყვა ჟრიამულიან ქუჩებს დიდი ყაზარმის ახლოს.

ჯორჯევიჩი ლამაზი კაცი იყო, მშვენიერი, ვით მოკრიალებული ცა, თვალებიანი და მიამიტი შეხედულებისა... ტან-წერწეტი, სუსტი, ის უფრო მსახიობსა ჰგვანდა აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი. ქუდი ისე არ ეხურა, როგორც წესია, არამედ ცოტა ჩა-



† იოსებ მონადირიშვილი.

# ძველი საქართველო



ატობა (მ. თამარაშვილის კოლლექციიდან, რომელიც საქართველოს საისტ. მუზეუმში იმყოფება).

# ომის ასპარეზზე



ლოცვა ძველებურ ქართულ ტაძარში არზრუმის ვილაიეთში.

მოფხატული, როგორც რუსებმა იციან, საყელოც ჩვეულებრივ წესის წინააღმდეგ: ძლიერ მაღალი, როგორც გერმანელ აფიცრებსა. ყველას ამაყად შესცქეროდა თვალებში და ქალებში გამარჯვებული იყო; ჰყავდა მათ შორის ნაცნობიც, მეგობარიც, საყვარელიცა. კაცები რომ უყურებდნენ ამ მოკოპწიავეს, იღლიის ქვეშ ხმალ ამოჩრილს, ცოტა არ იყვეს ეჭვი ეპარებოდათ იმის სამხედრო უნარში, მაგრამ ქალები... ო, იმათთვის ის ნამდვილი მხედარი იყო და იშვიათად თუ ვინმე გაუძლებდა მათგანი, როცა ის იმაზე ბეჯითად იერიშს მიიტანდა. ეხლა ის დასდევდა და სცდილობდა ძველ მოიჯარადრის სტეფანოვიჩის ქალის ცაცას გული მოენადირებინა. მაგრამ სტეფანოვიჩს გაგონებითაც არ უნდოდა ამაზე რამე გაეგონა. გაგონილი ჰქონდა, რომ ჯორჯევიჩს გადახუხვა უყვარდა და, როცა კი გადუკრავდნენ ხოლმე, ჯიუტი გაიძახოდა:

— არ მინდა, არა, ლოთი სიძე, არა!

ჯორჯევიჩს მართლაც ხშირადა ჰნახავდით რესტორანებში, სადაც ღვინოსა სვამენ მოურიდებლად, კინკლაობენ ჟურნალისტები და სქელი, ჰუნგრელი მომღერალი ქალები მღერიან სიმღერებსა. ლამაზ, ჯეელს ჯორჯევიჩს ამხანაგები სულელადა სთვლიდნენ და თვის სულის რაღაც ავადმყოფური თავისებურობის ძალით ისიცა სცდილობდა მართლაც სულელად მოეტანა თავი. იმისი მშობლები ადრევე გაიყარნენ, ბავშვობისას კარგი არაფერი უნახავს და ამ პატარაობის ხანის ერთმა მოგონებამ სამუდამოდ მოუშხამა მას სიცოცხლე. პატარაობიდანვე ტანჯვამ დაიბუდა იმის გულში და ნებას არ აძლევდა მოსვენებით შეჰგებებოდა ბედნიერებას თუ უბედურებას. იყო კეთილი, მხიარული, სწევდა თუთუნს, სვამდა, ბანქოსა თამაშობდა, თითქოს ყველა ამითა სურდა მწვავე გრძნობა დაეხშო. ამასთანავე ის ისე ჯეელი იყო იყო, თითქმის ბავშვი! არ იცოდა გაჩუმება, როცა საჭირო იყო, არც ლაპარაკი როცა სათქმელი იყო. არა ჰფიქრობდა იმ მითქმა-მოთქმაზე, იმ ჭუჭყიან ამბებზე, რომელსაც მას თავზე ახვევდნენ და ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ. არც კი იცოდა, რომ იმისი პატივი და სახელი იმ სულელურ ჭორებისაგან იქსოვებოდა.

ცაცამ მარტო იმიტომ კი არ შეიყვარა, რომ ის ისეთი ლამაზი იყო. მან ამოიცნო რაღაცა უფრო მაღალი, რაღაცა კარგი, სიტყვით რომ არ გამოითქმოდა, მაგრამ ხანდისხან, ვით ელვა, აღინთებოდა ხოლმე ჯორჯევიჩის თვალებში.

ერთი სიტყვით ცაცას ის მოსწონდა. არ იყო ჯორჯევიჩი არც ძლიერ ჭკვიანი, არც ძალზე სულელი. ქალს არა სურდა იმაზე ხელი აეღო. ერთხელ, როცა მამა ძალიან კარგ გუნებაზე დაინახა, ცაცა ყელზე ჩამოეკიდა და დაუწყო თხოვნა:

— დამყაბულდი, მამილო, გენაცვალე, დამყაბულდი! ხალხი გადააჭარბებს ხოლმე, შურთ, რომ ვუყვარვარ. ის ისეთი ცუდი სულაც არ არის, როგორცა ლაპარაკობენ. გასწორდება, გასწორდება. დამპირდა გავსწორდებიო. მე ვქონიებ გავლენას, მამილო, იმაზე, მე. მე მიყვარს ის, მიყვარს!

მამა პატარა ხანს გაჩუმდა. ამით პავლე სტეფანოვიჩს უნდოდა თავისი პასუხისათვის მეტი ფასი მიეცა.

— აბა, კარგი, მოგვცეს სიტყვა,—ამბობდა მოხუცი და თითოეულ სიტყვას აგრძელებდა;—შეგვპირდეს, რომ ორ თვეში არა ჰნახავს გემოდ მაგარ სასმელს. ვნახავთ მერმე!

ეს ლაპარაკი თორმეტ თებერვალს მოხდა საღამოთი. ახალგაზრდა აფიცერს არ მოსწონდა მოხუცებულის ასეთი სიფრთხილე, მაგრამ უყვარდა ცაცა და იმის გულისათვისაც მისცა სიტყვა. ორი თვე დღეს შესრულდა და პორუჩიკ ჯორჯევიჩს თავის საცოლესთვის წითელი ვარდის ვეება თაიგული ეჭირა. ბედნიერი იყო, რომ სიტყვა შეასრულა, უფრო ბედნიერი, რომ დასძლია ის უკანასკნელი დაბრკოლება, მოიჯარადრის ქალის და იმის შორის რომ ჩამოჩხირულიყო.

აპრილის წვიმები გაილია. დილიდან გამოიდარა მხოლოდ. მზე ისე აცხუნებდა, თითქოს შუაგული ზაფხულიაო. ხეები ჯერ კარგად არ გაშლილიყო და სუსტი ჩრდილი ჰქონდათ, მაგრამ დღეს იმ ხეებ ქვეშ ისე საამო იყო, რომ ჯორჯევიჩი მაუდის ვიწრო, სადღესასწაულო მუნდირში იყო გამოწყობილი. სახეზე ოფლი გამოსვლოდა პაპანაქება მზე აღიზიანებდა. ხახა გაუშრა ჯორჯევიჩს, ჯერ კი ძლიერ შორს იყო ყელის ჩასველებამდე. მაგრამ შუა გზაზე გარდასწყვიტა იქვე მახლობელ რესტორანში შესულიყო.

— მხოლოდ ერთ ჭიქა წყალს დავლევ აი, მხოლოდ ერთ ჭიქა წყალს,—არწმუნებდა ის თავის თავს.—არაფერს მივეკარები, ერთ ჭიქა სელტერის წყალს დავლევ მარტო, რომ მოვიკლა წყურვილი.

— ოო, mio caro'—მიეგება ვიღასიც ნაცნობი ხმა რესტორანიდან. ეს უილბლო მოწაფე იყო, უილბლო მომღერალი და უილბლო სწავლული, მაგრამ ნიჭიერი ჟურნალისტი, უფრო ცნობილი რასთინიაქის ფსევდონომით, ვიდრე იმ სახელით, ნათლობის დროს ნათ-



პოდპორ. პეტრე გაბუნია (მოკლულია).



პოდპორ. დიმ. გედევანიშვილი (ორჯერაა დაჭრილი).

ლიას რომ დაერქმია, ან იმ გვარით, მამისაგან რომ მიიღო, როგორც ერთად-ერთი სამკვიდრებელი. ის მაღალი, გამხდარი კაცი იყო, ცოტა მოკუზული, ფერმკრთალი, დასივებული თვალებით, ცალი ფეხით კოჭლი და წვეტიანი სახისა დანის პირისავით.

— საიდან, საიდან, ჩემო მხედარო? ან იქნება ისე გაამაყდი, რომ მე, ობოლს, არც კი გინდა შემომხედო?.. ე რა მესმის? ჭიქა წყალიო? კარგი ერთი, თუ ღმერთი გრწამს! რას იტყვის ხალხი შენისთანა ლამაზ ჯეელზე? განა არ იცი, ვლაიქოს ისეთი ლუდი აქვს, რომ თავის დღეში სულთანსაც არ დაულევია?!.. ყვითელი, როგორც ქარვა. ჰა, მეწვევი? ჯერ ადრეა, სულ ორი საათია. განა მაგრე ნაკლებ იცნობ ოჯახის წესსა? ეხლა მოსამსახურეებსაცა სძინავთ ჯერა. ჩვენ ვართ მარტო მოუსვენარი, ჩვენ... ჰეი, იოვაშ, მანდ რას აკეთებ? გამოართვი ე თაიგული. ზევიდან ნუ ავლებ ხელს, შე რეგვენო! აი, აგრე, ფრთხილად, ბოლოზე მოჰკიდე, ჩასდგი წყალში და დაზგაზე დასდგი. ჰა, ხელი არავინ მოჰკიდოს, ხელი, თორემ ყურებს დაგაგლეჯავ. უეჭველია ცოტა არა ღირის. რა მშვენიერი ვარდია! ალბად ვინმე მდიდართან მიდიხარ, ჰა?—კვლავ მიუბრუნდა ის პორუჩიკს და მერმე მწარედ, თითქოს თავისთვის წარმოსთქვა:

— ეჰ, ობოლი უნდა იყვე, რომ მდიდრები დააფასო, კუზიანი, რომ ქალები გაიცნო!

ჯორჯევიჩს ისე სწყუროდა, რომ ხელად გამოსცალა ლუდის ჭიქა.

— აბა, მეორეც, მეორეც...—ურჩევდა რასთინიაქი.

— აგერ ორი თვე გავიდა,—იმშვიდებდა სინიდისს პორუჩიკი,—ორი ჭიქა ლუდი კაცს ხომ არ გაალოთებს!

რასთინიაქმა პირი მოხსნა. იმასა და ჯორჯევიჩს ერთი საერთო „საგმირო“ საქმე ჰქონდა საგასტროლოდ ჩამოსულ ჩეხელ მომღერალ ქალთა გუნდთან და ხშირად ერთადა სვამდნენ ხოლმე.

— ეი, იოვაშ, გაავსე ჭიქები!—უბრძანებდა ჟურნალისტი.

— უბედურება დამატყდება თავს, უბედურება!—უსაყვედურებდა თავის თავს პორუჩიკი.—რა იქნება, ეხლა ცაცამ რომ გაიგოს! მაგრამ მე ხომ ბავშვი არა ვარ!..

რასთინიაქი კი თავს იქებდა, უამბობდა, როგორ კარგად შეესწავლა ბელგრადი. ისე ვიცი, როგორც ჩემი ხუთი თითიო და ციფირებით ლაპარაკობდა, როგორც ლაპარაკობენ ხოლმე ჯარზე სამსახურ გარეშე მყოფი აფიცრები.

— ეხლა ჩვენ ბელგრადის ქუჩებში გვაქვს 1323 ფანარი,—ამბობდა ჟურნალისტი,—და 123 სანათი გაზისა, რომელშიაც ქალაქი, იხდის 162,386 დინარამდე. ყველა ფანარი იძლევა 16 ჰეფნერის სანთლის შუქს, ხოლო გაზის სანათი 1000 ჩვეულებრივ სანთლის შუქს თითო.

ჯორჯევიჩი ყურს უგდებდა და სვამდა. როგორღაც მეტისმეტად ესიამოვნებოდა ეხლა სმა და ახლა თვითონ უბრძანებდა კიდევ და კიდევ გაევსოთ ჭიქები.

— ჰა, რას იყურები? რატომ არასხამ?—უყვიროდა ის ლაქიას. ლუდმა თითქოს მოუკლა გულის დარდი და ტკბილ ოცნებათა ბურუსში გაჰხვია. მოიგონა პორუჩიკმა, როგორ გაიცნო თავისი საცოლე და როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი.

შევიდა ის ერთხელ ზამთარში საცურაოზე შემთხვევით ერთ ამხანაგთან ერთად. საცურაოდ, თუ ისე, დროს მოსაკვლელად, აღარ ახსოვს. მეგობარმა ორი ნაცნობი ახალგაზრდა ქალი ჰნახა და ჯორჯევიჩს გააცნო. დაიწყეს იმათი გართობა. ჯორჯევიჩს ცაცა შეხვდა. ის ქალს ეტიკტიკებოდა, ხუმრობდა. ცაცას ხარხარი მთელ საცურაოზე ისმოდა. მუსიკამ ვალსი დაუკრა. მან მოჰხვია ხელი წელზე ქალს ისე, დაუკითხავად და ორივე ერთად გასრიალდა ყინულზე, ცაცა შავ-თმიანი იყო და შავ-თვალა, სრული, მკერდიანი, მრგვალი ლოყები ლამაზად ეკეცებოდა სიცილის დროს... ერთი შეხედვითვე იტყოდით, რომ ის კაი ოჯახის ნაწარმოები იყო. ის და ცაცა დასრიალობდნენ, თითქოს ფრთები შესხმიათო. მათ გარშემო არეულიყო ჭირხლით დაფარული ხეები, სახლის სახურავები, გუნდა-გუნდა რომ იდო ზედ თოვლი. მზე კაშკაშებდა, თუმცა ძალა არა ჰქონდა და იმ ალაგას, სადაც თოვლი არ იდო, ყინულს ფოლადივით ლაპლაპი გაუდიოდა. ჯორჯევიჩი ჩასციცინებდა ცაცას თვალებში, მდუმარე. ცაცაც თვალს არ აშორებდა, გაღიზიანებული, მოქანცული ზედ ეყრდნობოდა და იხრებოდა მისკენა. ასე იყვნენ გართული, რომ კინაღამ არ დაეტაკნენ მეორე წყვილს, მათკენ რომ მოექანებოდა. მაგრამ ჯორჯევიჩმა ფეხი მოაცილა და ორივე, მარცხნივ გაექანენ რომელიღაც ფანჩატურისკენ. ისე ძლიერ მისრიალობდნენ, რომ ფანჩატურთან ძლივს გაჩერდნენ. აქ არავინ იყო, სჩანდა მხოლოდ ღობე ყვითელი ფიცრის ღობე. ერთი ფიცარი გრიგალს გამოეტეხა. ელვის სისწრაფით ეცა ჯორჯევიჩი ცაცას, რომ ტუჩებში ეკოცნა, მაგრამ მან პირი მიიბრუნა და კოცნა ქალს ვარდისფერ კისერში მოხვდა. ამას მოჰყვა მხურვალე ბოდიშის ხდა, შემდეგ ყვავილების გზავნა ჯორჯევიჩისაგან, წიგნების ძლევა წასაკითხად, სურათები, წერილები, სახუმარო, უმნიშვნელო ბაასი...

მოსამსახურე იატაკსა ჰნამავდა წყლით და რესტორანში გრილოდა. ფანჯარაში მშვიდად ეძინა კატას. „ვაი, მიყვარდა ხუცესი ზედ საკურთხეველთან“... მღეროდა რასთინიაქი. თავში აჰრეოდა ყველაფერი. პორუჩიკი არწმუნებდა თავის თავს, რომ სიცხე გადიყრის პატარას თუ არა, მაშინვე წავალ სტეფანოვიჩიაანთსაო. „არავინ უნდა გაიგოს, რომ მე დამილევიაო“—ჰფიქრობდა ის.

ის ხომ ძველი ჯარის-კაცია, სვამს ლუდს, მაგრამ ზომა კარგად იცის! უმთავრესი ის არის, ბიჭმა ყური უგდოს თაიგულს და წყალი ხშირ-ხშირ უცვალოს. გონება არას დროს არ უჯიუტდებოდა და მუდამა მუშაობდა. კოტა არ იყოს უცნაურად მიაჩნდა ყველაფერი. შეგნებული სჩადიოდა ყველაფერს? მართლა ხდებოდა ყველაფერი ეს იმის თავზე? მაგრამ ეხლა ყველაფერი ისე ეჩვენებოდა, ბუნებრივი, გონიერი.

რესტორანშივე ისადილა და ივახშმა.

— ვახშმის შემდეგ წავალ,—ამბობდა თავისთვის ჯორჯევიჩი.—იმათ ბაღში ისე მშვენიერია! გამოვატანინებთ მაგიდას, ავანთებთ სანათს და ლაპარაკით გულს მოვიოხებთ.

ღამის თერთმეტ საათზე რასთინიაქი მაგიდის ქვეშ გაიშხლართა.—აბა, დროა!—სთქვა პორუჩიკმა, შეიბა ხმალი, აიღო თაიგული და გამოვიდა. აპრილის მშვენიერი ღამე იყო. ღრუბლები მისცურავდნენ ცაზე, ვარსკვლავებით რომ აჭრელებულიყო, მთვარე ხან გამოჩნდებოდა, ხან მიიმალებოდა; მხოლოდ იმის შუქი ღა სჩანდა. ღრუბლებიდან გამოჩნდებოდა, თითქოს ოქროთი მოუვარაყებიათ წმიდანების თავის გარშემოვო. გომბეშოებს ყიყინი გაუდიოდათ. ბალახი მთლად დანამული იყო. თბილოდა.

— მშვენიერი, საუცხოვო ღამეა!—წარმოსთქვა ახალგაზრდა აფიცერმა. ჩვეულებრივი სიარულით მიდიოდა, ხმალი გვერდზე, მხრები აწეული და ცოტა წელში მოხრილი. მხოლოდ რაღაცა არ ასვენებდა. ღამე ბნელი ეგონა, ფეხი ერეოდა, რაღაც ორმოებში უვარდებოდა.

— ე, არაუშავსრა, ცოტა კიდევ, ცოტა, უკვე აქვეა!—ამხნევებდა თავის თავს ჯორჯევიჩი,—ნახავენ, რა სიძე ეყოლებათ. რა უშავს, თუ ცოტა გადაჰხუხა... ორი თვის მარხულობა მეყოფა... დაწყევლილი ქალაქი! ისე ცოტა ჰეფნერის სანთელი აქვთ! ეს ალაგიც კი არ არის განათებული... რასთინიაქი ხომ ნამდვილი ვირია, ვირი! წამოდი მეთქი ვეპატიჟები და ის კი მაგიდის ქვეშიდან მარტო ამასა ღმუის: „ააა! ააა!..“ კიდევ ორმო! ნეტა ერთი ჭკვიანი კაცი მაინც მოხვდეს ქალაქის სამმართველოში, ჰა! ასწავლიდა, ხალხზე როგორ უნდა იზრუნონ. ღმერთმა დაიფაროს და მთვრალმა რომ გამოიაროს აქეთ, ხომ კისერი უნდა მოიტეხოს, ჰა! ჰაა, აგერ სტეფანოვიჩიაანთ სახლიც. ჯერ არ დაუძინიათ. ბაღში განათებულია... უნდა ვაჩვენო იმათ, როგორ უნდა პატიოსანი სიტყვის შენახვა. ორი თვე მომისაჯა მოხუცმა, თითქოს მე სამხედრო წესი დამერღვიოს... აი, ეხლა კი გათავებულია; მე ამათი სიძე ვარ... დეე მოხცებულმა რაც უნდა სთქვას ჩემზე...

მოხუცი სტეფანოვიჩი მუდამ ადრე დგებოდა და ვენახში მიდიოდა ხოლმე. იმ დილას უფრო ადრე წამოდგა. გაჯავრებული იყო ერთ ქვის-მთელელზე და ჰფიქრობდა, როგორ დაესაჯა. ვენახის კარი რომ შეაღო, რაღაცა რბილს წამოჰკრა ფეხი. მის წინ გაშხლართული ეგდო იმისი მომავალი სიძე, სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყეპილი და წითელი ვარდის ვეება თაიგული მუცელზე ედო. ისე ტკბილად რომ არ ეხვრინა, თითქოს აბრაამის წიაღსა შინა განისვენებსო, მოხუცს ეგონებოდა—მკვდარიაო. სტეფანოვიჩმა მაშინვე დაუძახა ვენახიდან ბიჭებს და გაგზავნა ცოლისა და ქალის დასაძახებლად. როცა, მოულოდნელად გაღვიძებული, მოცვივდნენ ისინი, მოხუცმა თითით უჩვენა ხვრინავ ჯორჯევიჩზე, და სიბრაზისაგან წვერ-აკანკალებულმა უთხრა:

— ჰა, ესეც თქვენი სატრფიალო ვაჟკაცი, ესეც თქვენი ტურფა. ი, თქვე სულელებო, სულელებო. ჰხედავთ, ღორივით როგორა ხრუტუნებს? დააკვირდით კარგად, რომ მერმე ამაზე აღარაფერი გამაგონოთ. არ გეუბნებოდით, თქვე, სულელებო, კუზიანს საფლავი გაასწორებს მეთქი? ვინც ერთხელ გადასცდება კეთილ გზას, ის იმ გზაზე აღარასდროს დაბრუნდება.

სტეფანოვიჩმა თითები თითებს გადააჭდო და გადასწია ხელის გული ისე, რომ ძვლებმა ტკაცა-ტკუცი დაუწყო. ამან თითქოს ცოტა დაამშვიდა. პატარა სიჩუმის შემდეგ მიუბრუნდა მუშებს და უთხრა:

— შესდეთ ე მასხარა ურემზე, რომ ეზო არ მომისვაროს. წაიღეთ სადაც მიგაქვთ ხოლმე, ხოლო კისერი არ მოუღრიცოთ.

არც ცოლისათვის, არც ქალისათვის აღარ შეუხედნია, მოხუცმა ისე გასწია ქალაქისაკენ რაღაცის ბურტყუნით.

იქნება იკითხოთ რა მოხდა შემდეგაო? არაფერი ისეთი. ცაცა სხვაზე გათხოვდა, ჯორჯევიჩმა კი ბელგრადი მიატოვა. გაზეთებში წავიკითხე, რომ მან დიდად ისახელა თავი შავ მდინარეში გასვლის დროს სოფელ ნოვსქასთან, როცა ბითოლიის ბრძოლა ძლიერ გახურდაო. აი ამან მომაგონა სწორედ იმის ცხოვრებიდან ეს ამბავი. რა ვიცი, იქნება ეს ამბავი სწორე არ გადმომცეს, იქნება თავიდან ბოლომდე უქმი გონების მოჭორილია. ესეც შესაძლებელია. ხომ იცით ლამაზ ყმაწვილებზე ყბედობა უყვართ ხოლმე.

**სანგანიძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.